# სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო

# კოოპერატივების რაოდენობა საქართველოს მასშტაბით

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების რაოდენობა

**1639** სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი

მეპაიეთა რაოდენობა **14 190**

სტატუსი შეუწყდა 155 კოოპერატივს



# კოოპერატივების განვითარების მიზნობრივი პროგრამების ძირითადი მიმართულებები

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო

- კოოპერატივების მენეჯმენტის/მეპაიეთა კვალიფიკაციის ამაღლება;
- ციკლური ტრეინინგების მეშვეობით თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეთოდოლოგიების დანერგვა კოოპერატივებში;
- პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი კოოპერატივების მხარდამჭერი პროგრამების განხორციელება;
- ერთიანი საწარმოო ციკლის (ღირებულებათა ჯაჭვის) დანერგვის ხელშემწყობი პროგრამების განხორციელება;
- კოოპერატივების მიერ წარმოებული/გადამუშავებული პროდუქციის გამოფენა-გაყიდვების ორგანიზება;
- საინფორმაციო ბანკის დანერგვა;
- კოოპერატივებში საერთაშორისო სტანდარტების (Global GAP, ISO, HACCP და სხვა) დანერგვის ხელშეწყობა.

# სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მცირე გაბარიტიანი აგრო-ტექნიკით აღჭურვის პროგრამა

სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე 667 კოოპერატივმა მიიღო 1515 აგროკომპლექტი და დამატებით 201 ხელის სათესი.

მცირეგაბარიტიანი აგრო-ტექნიკის (მოტობლოკის აგრეგატი, სათიბი, გუთანი, კულტივატორი და ხელის სათესი) შეღავათიან ფასად, ღირებულების 23% - 900 ლარად კოოპერატივებისათვის;

მიმდინარე წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის დამატებით 48 ერთეული მოტობლოკის გადაცემის შესახებ.



# თხილის წარმოების განვითარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხარდამჭერის გზითსახელმწიფო პროგრამა

## საწარმოო ინფრასტრუქტურა

| წევრების რაოდენობა | 529 | % |
|---|---|---|
| ქალები | 183 | 34,6% |
| ახალგაზრდები 18- 35 წლამდე | 82 | 15,5% |
| დევნილები | 42 | 7,9% |
| მოწყვლადი ჯგუფი | 233 | 44 |

სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“

752000 ლარი

გაუტეხავი თხილის დაკალიბრება, გატეხვა, გულის დაკალიბრება, დარჩევა, შეფუთვა
149120 ლარი

- ნაჭუჭიანი თხილის გაშრობა 24 ტონა/დღეში
- ერთდროულად თხილის დასაწყობება 500 ტონა

**OXFAM** (გრანტი)

ძირითად საშუალებებზე

**90895** ლარი

„დარჩელის თხილი“ (თანადაფინანსება)

ძირითად საშუალებებზე: 52335 ლარი,

მიმდინარე ხარჯებზე: 5890 ლარი





## მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდამჭერის სახელმწიფო პროგრამა

# სულ 166 კოოპერატივი

98 კოოპერატივს გადაეცა

სულ 7588 სკა

5742 დადანის

1500 რუტის

346 პენოპოლისტიროლის

51 კოოპერატივმა მოითხოვა

სულ 3609 სკა

2860 დადადის

491 რუტის

258 პენოპოლისტიროლის

19 შესანახი ავზი
19 თაფლის საწური

43 კოოპერატივმა მოითხოვა

სულ 3 019

2086 დადანის

390 რუტის

543 პენოპოლისტიროლის

10 თაფლის შესანახი ავზი
10 თაფლის საწური







# „რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა“



**პროგრამაში ჩართულია 9 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი**

**გაერთიანებულია 238 მეპაიე**

**კოოპერატივების და მათი მეპაიეების საკუთრებაშია 2450 ფური**

**150 ფურზე მეტი - 6 კოოპერატივი**

**ერთი პროექტის ღირებულება: 95000 ლარი**

**გადაეცემათ:** რძის გამაციებელი (ტევადობა 1500 ლიტრი) და ყველის სახარში დანადგარები საწარმოო ინფრასტრუქტურით, ლაბორატორიით და ხელოვნური განაყოფიერების აღჭურვილობით

**300 ფურზე მეტი - 3 კოოპერატივი**

**ერთი პროექტის ღირებულება: 111900 ლარი**

**გადაეცემათ:** რძის გამაციებელი (ტევადობა 3000 ლიტრი) და ყველის სახარში დანადგარები საწარმოო ინფრასტრუქტურით, ლაბორატორიით და ხელოვნური განაყოფიერების აღჭურვილობით.

# ორიენტირება მასშტაბის ეფექტზე

სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს“ მიერ განხორციელებულ და დაგეგმილ კაპიტალური ინვესტირების პროგრამებში ყოველთვის გათვალისწინებულია კოოპერატივების მეპაიეთა რაოდენობის ზრდის მასტიმულირებელი მექანიზმი:

- „თხილის წარმოების განვითარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერის გზით“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე კოოპერატივ „დარჩელის თხილის“ მეპაიეთა რაოდენობა შეადგენს 529-ს;
- „რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამაში“ მომაწილე 9 კოოპერატივში გაერთიანებულია 238 მეპაიე, ანუ საშუალოდ 27 მეპაიე 1 კოოპერატივში;
- 2017 წელს დაგეგმილ „მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის“ სახელმწიფო პროგრამაში მეპაიეთა მინიმალური რაოდენობა 1 კოოპერატივში საშუალოდ იქნება 35;
- 2017 წელს დაგეგმილ „მეფუტკრეობის განვითარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერის გზით“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში თაფლის საწარმო 5 წლიანი იჯარით, შემდგომი გამოსყიდვის უფლებით გადაეცემა მეორე დონის კოოპერატივს, სადაც შემავალი კოოპერატივების მეპაიეთა რაოდენობა სავარაუდოდ იქნება 500-ზე მეტი.

სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს“ მიერ განხორციელებულ და დაგეგმილ კაპიტალური ინვესტირების პროგრამებში ჩართულ 14 კოოპერატივში მობილიზებული იქნება 1442 მეპაიე, ანუ საშუალოდ 99 მეპაიე 1 კოოპერატივში.

## ტრეინინგები, სასწავლო ტურები

საგადასახადო კოდექსის პრაქტიკული ტრეინიგი (233 კოოპერატივი, 387 მონაწილე)




ტრეინინგი ერთწლიანი კულტურების მწარმოებელი კოოპერატივებისთვის




სასწავლო ტური ესტონეთში




სასწავლო ვიზიტი წნისის ქარხანაში




# სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ წარმოებული პროდუქციის გამოფენა-გაყიდვები









სასოფლო-სამეურნეო
კოოპერატივების
განვითარების სააგენტო

# საბანკო კრედიტის ხელმიუწვდომლობის გამომწვევი მიზეზები

1. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების უმრავლესობა პრაქტიკულად იმყოფება „სტარტ-აპ“-ის მდგომარეობაში, რაც მიუღებელია კომერციული ბანკებისთვის;

2. მათ უმრავლესობას არ გააჩნია საბანკო სესხის საგარანტიო უზრუნველყოფის რესურსი. კომერციული ბანკების საქმიანობის პრიორიტეტი კი მიმართულია მხოლოდ გარანტირებული უკუგების და შემცირებული რისკების მქონე სფეროებზე და შესაბამისად საგარანტიო უზრუნველყოფით გამყარებულ პროექტებზე;

3. კომერციული ბანკების მხრიდან კოოპერატივებზე სესხის გაცემა დაკავშირებულია კოოპერატივის მრავალრიცხოვანი წევრების ფინანსურ-ეკონომიკური და მატერიალური მდგომარეობის შესწავლასთან, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ამ ღონისძიების დროსა და დანახარჯებს. ამიტომ ბანკები უპირატესობას ანიჭებენ მცირეწევრებიანი, ან სულაც ერთი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის ორგანიზაციების დაფინანსებას;

4. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მენეჯმენტის საფინანსო ინსტიტუტებთან ურთიერთობის გამოცდილების დეფიციტი და მათი დაბალი კვალიფიკაცია.

# სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ინტენსიური განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებები

- სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის აქტუალობიდან გამომდინარე, მისი მხარდაჭერის მასშტაბები უნდა გახდეს იმ გამოწვევების ადექვატური, რასაც მოითხოვს ამ პროცესის ინტენსიური განვითარება ქვეყანაში;
- უნდა გაიზარდოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდამჭერი ღონისძიებების მასშტაბები როგორც სახელმწიფოს, ასევე დონორი ორგანიზაციების მხრიდან;
- უნდა განხორციელდეს კოორდინირებული აქტივობები სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს", სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი „პროექტების მართვის სააგენტოს" და ევროკავშირის პროგრამა **ENPARD**-ის განმახორციელებელ სუბიექტებს შორის, ერთობლივი პროექტების განხორციელების ჩათვლით;
- კოორდინირებული აქტივობების ფარგლებში უნდა განხორციელდეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინფრასტრუქტურის მხარდამჭერი ინსტიტუტების (სპეციალიზირებული ფონდები, საკრედიტო და მარკეტინგული კოოპერატივები და სხვა) ჩამოყალიბების და განვითარების პროექტები.

# მადლობა ყურადღებისთვის

სასოფლო-სამეურნეო
კოოპერატივების
განვითარების სააგენტო